ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წ.

ბიუჯეტი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის **2018** წლს ბიუჯეტის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 18 963 312 ლარს ხოლო ფაქტიური შესრულება 1-დეკემბრის მდგომარეობით შეადგნეს 14 033 435 ლარს ანუ წლიური გეგმის 74,2%-ს .

მათ შორის: კაპიტალური ღონისძიებებზე გეგმა შეადგენს 7 677 460 ლარს ხოლო ფაქტიური შესრულება არის 4 696 887 ლარი ანუ წლიური გეგმის 61%.

სულ დაგეგმილი იყო 77 პროექტის განხორციელება აქედან 53 დასრულებულია, 22 მიმდინარეა, ხოლო 2 -პროექტი გარდამავალ ღონისძიებად გადადის 2019 წელს (სოციალური სახლი და ახალსოფლის წყალი).

2019 წლის ბიუჯეტის პროექტი შეადგენს 18 280 000 ლარს.

მათ შორის ინფრასტრუქტურული ღონისძიებები 6 525 200 ლარი:

1. სოციალური სახლის 1 ეტაპი: 1 500 000
2. ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა 350 000 ლარი
3. ფერდდამცავი მხარდამჭერი პროგრამა 350 000 ლარი
4. მზა ბეტონის შეძენა 770 000 ლარი
5. ადგილობრივი გზების რეაბილითაცია არმირებული ბეტონის საფარით 2 435 758 ლარი
6. წყალმომარაგება 280 000 ლარი
7. გარე განათების მოწყობა 12 ლოკაციაზე 454 000 ლარი

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

2018 წელს:

განხორციელდა 24 წყლის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 3 177 385 გახარჯული 1 884 332

განხორციელდა 07 ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამები (სახურავი და კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები) საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 163 393 გახარჯული 132 990

გაკეთდა 8 კმ არმირებული გზა და 14 გზის დამცავი კედელი საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 931 485 გახარჯული 727 420

მოეწყო 15 მოსაცდელი საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 67 100 გახარჯული 53 450

მოხდა 5 178 $მ^3$ ბეტონის შესყიდვა რის შედეგადაც ბეტონის საფარით მოეწყო 19 კმ სიგრძის შიდა სასოფლო გზა. საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 631 716 გახარჯული 631 716

ფერდსამაგრი პროგრამის განხორციელებით სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის მოეწყო 35 ფერდ დამცავი კედელი. საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 398 888 გახარჯული 340 747

განათებისათვის - საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 19 096 გახარჯული 19 096

ახალშენის კულტურის სახლი - საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 469 351 გახარჯული 468 374

მახოსა და კალენდერეს სტადიონები - საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 93 760 გახარჯული 8300

ორთაბათუმის ბაღი - საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 194 190 გახარჯული 194 190

მაჭახელას ამბულატორია - საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 30 543 გახარჯული 29 639

სულ საპროექტო 6 176 909 გახარჯული 4 490 254.

ასევე:

4 წყალსადენზე ჰიპოქლორიდის აპარატურა ამოქმედდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 49 737 ლარი გამოიყო.

ხელვაჩაურის სოფლებში 160 ერთეული ახალი ურნა განთავსდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 87 000 ლარი გამოიყო.

ხელვაჩაურში წყლის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორია გაიხსნა, ბიუჯეტი შეადგენს 30 500 ლარს.

მიმდინარეობს შარაბიძეების დაწყებითი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 63 998 ლარს

2019 წელს დაგეგმილია:

1) სოციალური სახლის მშენებლობა - 3 335 145 ლარი
2) საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება - გადახურვა (ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა) – 150 000 ლარი
3) სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა - 250 000 ლარი
4) სოფელ წინსვლაში ცინცქილაძეების დასახლებაში სკვერის მოწყობა - 71 853 ლარი
5) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 15 მოსაცდელის მოწყობა – 76 712 ლარი
6) სოფელ ახალსოფელში სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა - 182 181 ლარი
7) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია (მზა ბეტონის შენება) – **270 000 ლარი**
8) სოფელ სამებაში ვარშანიძეების დასახლებაში, ორთაბათუმში, ქვედა აგარაში ჩაჩავების დასახლებაში, სოფელ ახალშენში, ზედა წინსვლაში, ზედა წინსვლაში (ჩელტა), თხილნარის მეურნეობაში, შიდა სამანქანე გზის რეაბილიტაცია;
   სოფელ ზანაქიძეებში, ზედა ჯოჭოში, მახოში, ზედა თხილნარში, ზედა ჭარნალში, ახალსოფელში, სოფელ ფერიაში, სოფელ მნათობში, შიდა სასოფლო გზის დაბეტონება - **1 325 883 ლარი**
9) სოფელ აჭარისაღმართში მდ. მაჭახელაზე საცალფეხო ხიდის მოწყობა - 28 433 ლარი
10) შიდა გზების ფერდდამცავები - 171 236 ლარი
11) სოფელ ჯიბინაურში ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა და სოფელ ქვედა სალიბაურის წყლის მაგისტრალის დაერთება - **241 074 ლარი**

12) სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა - 31 001

13) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა - 30 000

14) სოფელ მირვეთში, ორთაბათუმში, წიქარეულის მიმართულებით გარე განათების მოწყობა - **98 175 ლარი**

ჯამი: 6 261 693 ლარი

განათლება და კულტურა

- ***სკოლამდელი განათლება***

2018 წელი: - დასრულდა და ინვენტარით აღიჭურვა ორთაბათუმის ბაღის ახალი შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს 8 ჯგუფის აღსაზრდელებს; - გადამზადებული იქნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალი (282 კაცი); - განახლდა საოჯახო ტექნიკა და შევიდა ახალი სათამაშოები ;

2018 წელი: - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ორ სართულიანი თანამედროვე სტანდარტების #2 საბავშვო ბაღი გაიხსნა. ახალი საბავშვო ბაღი 120 ბავშვზეა გათვლილი, ბაღი ადაპტირებულია შშმ პირებისთვისაც. ბიუჯეტი შეადგენს 683 545 ლარს.

2018 წელი: - სოფელ ფერიაში გაიხსნა ბაგა-ბაღი. ახალი ბაღი უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით, ნესტის გამწოვი აპარატით, საწოლებით და ცენტრალური გათბობის სისტემით. პატარებისთვის ჯგუფებში შეტანაილია ახალი სახელძღვანელოები და სათამაშოები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 4 ჯგუფი ფუნქციონირებს, სადაც განათლებას 120 ბავშვი მიიღებს. ბაღში დასაქმებულია 28 ადგილობრივი.

2019 წელი: - იგეგმება ერგესა და ახალშენის ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა, რომელიც არსებულ ნორმატივებს დააკმაყოფილებს. - განიხილება ასევე ხელვაჩაურის №1 ბაღის შენობის რეაბილიტაცია;

- ***უმაღლესი განათლება***

2018 წელი: - მუნიციპალიტეტი 2015 წლიდან ახორციელებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სემესტრულად ერთჯერადად სტუდენტისათვის თანხის გამოყოფას. (თანხა 40 ათასი ლარი, 40-მდე სტუდენტი);

2019 წელი: - პროგრამა გაგრძელდება.

- ***კულტურა***

2018 წელი: - მიმდინარეობს ახალშენის კულტურის სახლის რეაბილიტაცია; - შეძენილი იქნა ინვენტარი ქედქედისა და ჩიქუნეთის კლუბებისათვის; - განხორციელდა დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები;

2019 წელი: - გაგრძელდება დაწყებული პროგრამები კულტურის მიმართულებით.

- ***სპორტი***

2018 წელი: - შეიცვალა მახოს სტადიონის ხელოვნური საფარი; - კალენდერეში მოეწყო სპორტული მოედანი; - ჩატარდა ყველა სპორტული ღონისძიება; - სასპორტო სკოლის სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ ევროპისა და საქართველოს მასშტაბით.

2019 წელი: - გაიზრდება სპორტში მწვრთნელთა ხელფასები; - დაიწყება საფეხბურთო კლუბში ბავშვთა აქტიური ჩართულობა, რათა ადგილზე იყოს საჭირო რესურსი.

- ***ახალგაზრდული მიმართულება***

2018 წელი: - ფუნქციონირებს ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც არაფორმალურ განათლებას აწვდის ახალგაზრდებს (40 ათ. ლარი). განხორციელდა შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების აქტიურად არიან ჩართული აქტივობებში.

2019 წელი: - გაგრძელდება დაწყებული პროგრამები ახალგაზრდული მიმართულებით.

- **შენიშვნა: 2018 წელს განხორციელდა ა(ა)იპებში დასაქმებული პერსონალის ხელფასების ზრდა 20%-ით.**

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

საანგარიშო პერიოდში ხორციელდება 15 მიზნობრივი პროგრამა. საერთო ბიუჯეტი 625479 ლარი. რომლითაც დახმარება გაეწია 33319 ბენეფიციარს. საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების საფუძველზე სახელწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამებით სარგებლობის მიზნით 33319 მოქალაქეს გაეწია დახმარება. მათ შორის 136 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

სამსახურის მიერ წარმოებს სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების პრობლემების შესწავლა, ანალიზი და მასალების წარდგენა შესაბამის ინსტანციებში. 2018 წელს მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ მოწოდებული იქნა 656 ოჯახის ვიზუალური გეოლოგიური დასკვნა. სტიქიური მოვლენების ზემოქმედების მიხედვით მოხდა თითოეული ოჯახის დაზიანების ხარისხის შეფასება. დასკვნები მიწოდებული იქნა ოჯახებისათვის. რეკომენდაციის საფუძველზე სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახი მერიის მიერ გაყვანილია ქირით.

2018 წელს სტიქიით დაზარალებულ I-II კატეგორიის 39 ოჯახზე მიღებულია გადაწყვეტილება სოციალური სახლის მშენებლობაზე. დღემდე მუნიციპალიტეტში ბინით დაკმაყოფილებულია 35 ოჯახი თამარის დასახლებაში, 50 ოჯახი სოფელ კაპრეშუმში, 23 ოჯახი ურეხში.

2018 წელს ხანძართან დაკავშირებით 3 ოჯახის განაცხადი წარდგენილი იქნა შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე. ფინანსური დახმარება გაეწია სამთავე ოჯახს, ჯამში 26 524 ლარის ოდენობით.,

2018 წელს დასრულდა პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. 14 პირველადი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 31 ოჯახის ექიმი. მუნიციპალიტეტის სოფლებს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ემსახურება 37 მედდა. დაწესებულებების ნაწილი რეაბილ;იტირებული, ნაწილის რეაბილიტაცია იგეგმება 2019 წელს.

ბუნებრივი რესურსები და აგრარული საკითხები

1. მიმდინარე წელს სამსახურმა უზრუნველყო 200მ^3 სამასალე ხე-ტყის განაწილება 34 მოსახლეზე, რომელთა საცხოვრებელი სახლები და დამხმარე შენობა-ნაგებობები გადაუდებელ შეკეთბას საჭიროებდა.

2. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა შეიძინა 230 მ^3 საშეშე ხე-ტყე სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე განაწილების მიზნით.

3. სამსახურმა ასევე შეიმუშავა პროგრამა აჭარის ავტონომიური რსეპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის დაფინანსების ხელშეწყობა შემდგომში სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნით. სულ დაფინანსდა 1000 კვმ სასათბურე მეურნეობის მოწყობა. აღნიშნული პროგრამა 2019 წლის ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული.

4. სამსახურმა ასევე შეიმუშავა პროგრამა 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში როგორც გარემოსდაცვითი ასევე სოციალური სახის, რაც ითვალისწინებს შეშის ჩანაცვლებას ალტერნატიული საწვავით (თხილის ნაჭუჭი) აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობას სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სითბოთი უზრუნველყოფას და მეორე ხარისხის სასეშე ხე-ტყის მოხმარების შემცირებას წლიურად 1700 კუბამდე.

5. მიმდინარე წელს სამსახური ჩართული იყო ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში სულ მუნიციპალიტეტის მაშტაბით შეიწამლა ცივი შესხურებით 1376 ჰა და 10470 ჰა თერმული დამუშავებით სასოფლო- სამეურნეო ნარგავები.

6. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მაშტაბით ჩატარდა ბზის ალურას, ბზის დამწვრობის საწინააღმდეგო ღონისძიებები 22 ჰექტარზე ბზის გადარჩენის მიზნით.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონება

ქონების მართვის განყოფილებაში 2018 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით შემოსულია 904 განცახდება -კორესპოდენცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო წელს განყოფილების მეირ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული იქნა სხვადასხვა სახის ობიექტი, აქედან ძირითადად დარეგისტრირდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ რეაბილიტირებული თუ ახლად აშენებული წყლის სათავე ნაგებობები, რეზერვუარები, ბასეინები და წყლის მილები. ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენოტოს მიერ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე გადმოცემული იქნა სხვადასხვა სახის უძრავი ქონება, სულ დარეგისტრირდა 20 ობიექტი, რეგისტრაციის პროცედურებს გადის 34 ობიექტი, ასევე ქონების მართვის განყოფილების მიერ შექკვეთილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძების აზომვითი ნახაზები, რის საფუძველზეც დამზადებული, მოწოდებული და სარეგისტრაციოდ ჩაბარებული იქნა 105,163 მეტრი ხაზობრივი ნაგებობის აზომვითი ნახაზები (გარე განათების ბოძების რაოდენობამ შეადგინა 3550 ცალი).

უზუფრუქტის წესით დროებით სარგებლობაში გადაცემული იქნა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები, ესენია:

ააიპ „სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ს უზუფრუქტის წესით გადაეცა სოფელ ახალშენში მდებარე შენობა-ნაგებობა, მასზე მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად.

ააიპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უზუფრუქტის წესით გადაეცა 6 ერთეული სასაფლაო და ასევე ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. 21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი ოფისის განსათავსებლად.

სსიპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს უზუფრუქტის წესით გადაეცა სოფელ ორთაბათუმში მდებარე მდებარე შენობა-ნაგებობა, მასზე მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად და ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. N23-ში მდებარე კულტურის ცენტრის შენობა-ნაგებობა, მასზე მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად. ასევე თხოვების ფორმით გადაეცა მისთვის შეძენილი ინვენტარი.

შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ მაჭახელას“ თხოვების ფორმით გადაეცა სოფელ ჭარნალში მდებარე საფეხბურთო მოედანი და ასევე მისთვის შეძენილი სპორტული ინვენტარი.

ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურს თხოვების ფორმით გადაეცა 9 ერთეული ავტომანქანა.

ააიპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა“-ს თხოვების ფორმით გადაეცა მისთვის შეძენილი სპორტული ინვენტარი.

სერვიტუტით, მისასვლელი გზისთვის დატვირთული იქნა 4 ობიექტი, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სრულყოფილად გამოყენების საშუალება მიეცათ.

4 მოქალაქეს ჩაუტარდა ბინის პრივატიზაცია და საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლები;

იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში აუქციონის წესით გადაცემული იქნა: ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. N21-ში მდებარე 4 კომერციული ფართი; სოფელ სარფში მდებარე შენობა-ნაგებობაზე არსებული ფართი რეკლამის განსათავსებლას; სოფელ სარფში მდებარე მიწის ნაკვეთი; ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში მდებარე საპლაჟე სექტორი;

ასევე ფორმით დროებით სარგებლობაში პირდაპირი გზით გაიცა: სოფელ სარფში, სოფელ ჭარნალსა და ახალსოფელში მდებარე გარე განათებების კონსტრუქციები ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით; სოფელ განთიადში მდებარე მიწის ნაკვეთი; ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. N366-ში მდებარე ფართის ნაწილი და სოფელ ახალშენში მდებარე ამბულატორიის შენობა-ნაგებობის ნაწილი.

ელექტრონული აუქციონის გზით პრივატიზირებული იქნა 12 ობიექტი.

მომზადებული იქნა დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები და აზომვითი ნახაზები.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქონების მართვის განყოფილება, გარდა მასზე დებულებით დაკისებული უფლება-მოსილებებისა მონაწილეობას ღებულობენს სხვადასხვა კომისიებსა თუ ჯგუფებში.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

2018 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით ქ. თბილისის ცენტრალურ შემკრებ გამანაწილებელ პუნქტზე, წვევამდელთა გადასაყვანად სამსახურის მიკროავტობუსით განხორციელდა 35 რეისი, გადაყვანილია 313 წვევამდელი.

მათ შორის :

2018 წლის საგაზაფხულო გაწვევა - 21 რეისი, გადაყვანილია 191 წვევამდელი.

2018 წლის საშემოდგომო გაწვევა - 14 რეისი გადაყვანილია 122 წვევამდელი.